შარდი სპონტანური, გაყინული

ინფორმაცია პაციენტებისთვის

თქვენმა ექიმმა დაგინიშნათ კვლევა, რომლისთვისაც საჭიროა სპონტანური (ერთჯერადი) შარდის შეგროვება

მნიშვნელოვანია სინჯი სწორად შეგროვდეს.

ამ გზამკვლევში ვეცდებით აგიხსნათ: როგორ შეაგროვოთ შარდი, მონიშნოთ სინჯები და სწორად შეინახოთ გამოკვლევამდე.

ლაბორატორიისგან დაგჭირდებათ:

- შარდის შესაგროვებელი ერთჯერადი კონტეინერი
- შარდის სინჯარა
- 2 შარდის სატრანსპორტო კონტინერი
- სატრანსპორტო მაცივარი



როგორ ხდება სპონტანური შარდის შეგროვება?

რა უნდა იცოდეთ:

- სატრანსპორტო მაცივარი მოათავსეთ მაცივრის საყინულეში.
- შარდი შეიძლება შეგროვდეს ნებისმიერ დროს. გაითვალისწინეთ, რომ მოშარდვებს შორის ინტერვალი უნდა იყოს სულ მცირე 4 საათი!
- სქესობრივ კავშირს მოერიდეთ შარდის აღებამდე ერთი დღით ადრე.
- პირველ რიგში, შარდის შესაგროვებელ სატრანსპორტო კონტეინერებს დააწერეთ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, შარდის აღების თარიღი.



- ხელები კარგად დაიბანეთ საპნითა და წყლით და გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით.

პროცესის აღწერა

1. დაიბანეთ სასქესო ორგანოები

ქალები: ერთი ხელით გადაწიეთ სასქესო ბაგეები და კარგად დაიბანეთ გამდინარე, თბილი წყლით (საპნის გარეშე), მიმართულებით: წინიდან → უკან. შემდეგ გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით. შარდის აღების დასრულებამდე გადაწეული გქონდეთ სასქესო ბაგეები. მენსტრუაციის დროს შარდის აღება რეკომენდებული არ არის. აუცილებლობის დროს, საჭიროა ტამპონის გამოყენება.

კაცები: მთლიანად გადაწიეთ ჩუჩა და ასოს თავი კარგად დაიბანეთ გამდინარე, თბილი წყლით (საპნის გარეშე). შემდეგ კარგად გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით. შარდის აღების დასრულებამდე ჩუჩა გქონდეთ გადაწეული.

2. შეაგროვეთ შარდის შუა ნაკადი

დაიწყეთ მოშარდვა ტუალეტში, დაახლოებით 3 წამის განმავლობაში. შემდეგ შეაგროვეთ, დაახლოებით, 20-30 მლ შარდი შარდის ერთჯერად კონტეინერში, ნაკადის შეწყვეტის გარეშე. შარდის კონტეინერი არ უნდა ეხებოდეს სხეულს. შარდის კონტეინერი მოაცილეთ შარდის ნაკადს შარდვის დასრულებამდე. მოშარდვა დაასრულეთ ტუალეტში.

3. შარდის შეგროვების შემდეგ:



შარდის სინჯარას მოხსენით თავსახური და მიამაგრეთ „წვერი“. შარდის სინჯარა წვერით ჩაყავით შარდის შესაგროვებელ კონტეინერში. შარდი გადაანაწილეთ თანაბრად 2 შარდის სატრანსპორტო კონტეინერში, კონტეინერებს მჭიდროდ დაახურეთ თავსახურები და შეინახეთ მაცივრის საყინულეში. ლაბორატორიაში მოსატანად, გაყინული 2 კონტეინერი მოათავსეთ წინასწარ გაყინულ სატრანსპორტო მაცივარში.